

მანანა ბუკია

**ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული
ურთიერთობის ისტორიიდან II,
რიტუალური ლექსიკა**

ქართველთა და აფხაზთა ისტორიულ წარსულზე, კულტურულ ურთიერთობებზე, ენობრივ. შეხვედრებზე ბევრჯერ. დაწერილა, მაგრამ საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია.

აფხაზეთის ეთნოგრაფიის ცნობილი მკვლევრის ნ. ჯანაშიას ნაშრომები, (Статьи по этнографии Абхазии) მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობების კვლევით დაინტერესებულთათვის.

ნ. ჯანაშიას მიერ მოძიებული ბევრი ტერმინი დღეს ცოცხალ მეტყველებაში არარ გვხვდება, მაგრამ შესანიშნავად წარმოგიდგენს იმ ურთიერთობას, რაც ქართველთა და აფხაზთა შორის იყო დამკვიდრებული.

ჩვენი ყურადღება მიიქცია რიტუალურმა ლექსიკამ, სადაც აშკარად იკვეთება საერთო ტერმინთა სიმრავლე.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ეთნოგრაფის მიერ აღწერილმა დოკუმენტების სალოცავმა **დოპუ-ნგხა-მ**, რომელსაც აგრეთვე ეძახიან **შ'ჯ-ნგხა-ს**, ანუ სუჯუნის ხატს: „დოპუას გვარის რძლები **დოპუ-ნგხას** (დოპუას ხატს) ეძახიან **ჭარაქ-გ**-ს, რადგამ აფხაზ ქალებს უფლება არა აქვთ სახელით მოიხსენიონ ქმრის ნათესავები. დ. გულია მიუთითებს, რომ სიტყვა **ჭარაქ-გ** იგივეა, რაც ქართული ზვარაკი „სამსხვერპლო საქონელი“ (ძვ. ქართ. ზუარაკი – ზოუარაკი, სომხ. ზოვარაკ)“ (ჯანაშია 1960, 25). ეს ტერმინი ფართოდაა გავრცელებული ქართველურ ენობრივ მიკროსისტემებში: **ზვარაკია** „ცხოველი, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად შეწირული (ციფშიძე, 1914, 236), **ზვარაკი** (ქ. ზვარა, ზვარაკი) „მსხვერპლი; **ზვარაკუა** „ზვარაკის შეწირვა“ (ჭარაია, 1997, 67). შურს ზვარაკო შერწირენქ დო გოგილუა ხე დო დუცუ „სულს ზვარაკად შეწირავ და შემოგავლებ ხელსა და თავს“ (გუდავა, 1975, 41). შდრ. **ზვარაკი** || **ზორა** ძვ. რელიგ. მსხვერპლად შესაწირავი საქონელი“ (ქეგლ IV, 148); ძვ. ქართ. **ზვარა** || **ზვარაკი** „შეწირული საქონელი, ნასუქალი. ხბო“; „ნასუქარი ხბო“ (საბა, 1991, 280; 287), „მსხვერპლი“ (აბულაძე, 1973, 169), „მსხვერპლის შეწირვა“ (სარჯველაძე, 1997, 439), სვან. **ზუერ** „სამსხვერპლო შესაწირავი“ (თოფურია, 2000, 254), **ზვარა** (საბა, კახ.)

ბერ-ზორა (გუდ. მთ.) || ზორა (მთ., გუდ., მოხ.) „ხატისთვის შეწირული ხარი“ (ლეონიძე, 1925, 24); ზ.-იმერ. ზვარა || ზვარაკი „შესაწირავი ცხვარი ან მოზვერი“ (მოწენიძე, 1974, 156), ფშ.

ზვარა „დეკულის პირველი ხბო, რომელიც აუცილებლად უნდა დაიკლას ხატის სახელზე“ (ცოცანიძე, 1978, 229), მთიულ. ზვარა || ზორა „1. ხატისთვის შეთქმული მოზვერი: 2. ასეთი მოზვერის სახელი“; მზორა „ხატისთვის შეთქმული მოზვერი“ (კაიშაური, 1967, 2006); რაჭ. ზვარა „ძროხის პირველი ხბო“ (კობახიძე, 1937, 49), აფხაზ. ჟარაქჟ, ქართველურიდან ჩანს შეთვისებული.

ნ. ჯანაშიას ასეთი ფაქტიც მიჰყავს: „მამსირ დოჰუა აცხადებს: „ჩვენი, ხატი ახლა სუჯუნაშია“ (გვ. 26). ეს განაცხადი ნათლად გვიჩვენებს იმ სიახლოვეს, რაც. ქართველთა და აფხაზთა შორის იყო.

ტერმინის ერთი ნაწილის ეტიმოლოგია და სესხების მიმართულება ავტორს გარკვეული აქვს. მათ შორისაა ქვრსა „შობა“ (გვ. 52), აფხაზური ტერმინი ზუსტი შესატყვისია ქრისტეშობის აღმნიშვნელი მეგრული ტერმინისა ქირსე, ანუ ქრისტე (გვენაცელაძე, 1998, 130).

საშობაო რიტუალთა შორისაა გოთანუა (გვ. 52) < მეგრული „გათენება“. მკვლევარი. იქვე მიუთითებს, რომ აფხაზურად ამ რიტუალს შარფ-ნგჰა „დილის სალოცავი“ ჰქვია, მაგრამ რატომღაც მეგრული ტერმინი უფროა გავრცელებული (იქვე).

გოთანუა-ს რიტუალთან დაკავშირებით კიდევ ერთ ქართველურ ფორმას წავაწყდით. ერთ-ერთი გადმოცემა. მოგვითხრობს, თუ რატომ გაუწყრა გოთანუას ღვთაება ერთ-ერთ ოჯახს. მსახურმა სადღესასწაულო აკვაკვარი ა-კაპე-ს ჯამში ჩადო. ა-კაპეთ ქართველური კოპე-ს აფხაზურად ადაპტირებული ფორმაა. კოპე „მწარე, მაგარკანიანი გოგრისაგან გაკეთებული ჭურჭელია“ (ლლონტი, 1984, 301). აფხაზურში შეთვისების შემდეგ კო- კომპლექსმა მოგვცა კა, -ე ბოლოხმოვნიან სახელთა აფხაზურში შეთვისების შემთხვევაში დიფთონგიზაციის პროცესი ბუნებრივი მოვლენაა. შდრ. მეგრ. ძიძე „ძიძა“ > აფხაზ. ა-ძძე „ძიძა“, ქართ. ბაჟე > აფხაზ. ა-ბჟე „ძმარი“ (გვენაცელაძე, 1998-ა).

მეგრულ-აფხაზურ საერთო სალოცავებზე მიგვითითებს ა-გვრგ-ნგჰა (გვ. 59) ზედმ. „მეგრული სალოცავი“ და მისი სინონიმი ა-სალერტე, რომელიც მეგრული (resp. ქართველური) საალერტო-დან მოდის.

შესანიშნავად გამოხატავს ქართველურ-აფხაზურ ოდინდელ ურთიერთობებს სამკურნალო ბალახების მოპოვების. რიტუალთან დაკავშირებული ლოცვა: ადგელ დედოფალ, ბგხტუ ბაჰთეიტ – „ად-

გილის დედოფალო, ჩვენ შენი წილი დაგიბრუნეთ“ (გვ. 34).

მეგრულიდანაა შეთვისებული საკულტო ტერმინები **ჩაჩხადღლ** „დიდი ხუთშაბათი“ (გვ. 35), რომელიც მეგრული **ცაშხა დიდი**-ს „ხუთშაბათი დიდი“-ს ზუსტი შესატყვისია, ასევე **ხეჩხვამა** „ახალწლის დღესასწაული“ (გვ. 71), რომელსაც მეგრულში **ლეჯხვამა** ფორმა აქვს. კომპოზიტი ორი კომპონენტისგან შედგება და ზედმიწევნით „ღორით სალოცავს“ ნიშნავს.

სააღდგომო დღესასწაულთა შორის ნ. ჯანაშია მიუთითებს **მარდიანის** და **თარგალაზ**-ის სალოცავებზე (გვ. 44).

ეთნოგრაფის მიერ მოხმობილ ტერმინთაგან **მარდიანი** ქართული „მადლიანის“ მეგრული ვარიანტია. მეგრ. **მარდი** „მადლია“ (ყიფშიძე, 1914, 276), **თარგალაზ** „მთავარანგელოზს“ გულისხმობს, კონკრეტულად კი მეგრულ **თარანგელოზ**-ს (აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში უკანაენისმიერის მომდევნო ე გადადის ა-ში, თან იწვევს წინამავალი თანხმოვნის პალატალიზაციას (ლომთათიძე, 1976, 170).

ნ. ჯანაშია აითარის სალოცავის აღწერისას გადმოგვცემს **ხაჟკვრას** რიტუალს. გაგვიჭირდება მივიღოთ მტკიცება იმის შესახებ, რომ **ა-ხაჟა**, რომელიც გვხვდება აგრეთვე კომპოზიტში **ა-ხაჟკვარ** რამენაირად უკავშირდება შქერის აფხაზურ სახელწოდებას (ბუკია, 2001, 71), თუმცა ნ. ჯანაშიას მიერ შემოთავაზებული სესხების მიმართულების კვლევის მცდელობა შემდეგშიც მეორდება (კვარჭია, 1981, 49),

აითარისათვის მისართშევი. აუცილებელი სარიტუალო კერძია **ა-ჩამქა** (გვ. 27). ეს ტერმინი მეგრულშიც გვხვდება: **ჩემქვა** || **ჩემჭვა** „რძისა და ფქვილისაგან გაკეთებული ფაფის მსგავსი საჭმელი“ (ჭარაია, 1997, 156; მაკალათია, 1979, 72); **ჩემჩქვა** „რძეში მოხარშული ჭყინტი ყველისაგან გაკეთებული. კერძი“ (ჯავახიშვილი, 1986-ა, 209); **ჩემქვა** || **ჩემხვა** || **ჩემჭვა** (ქაჯაია, 2002-ა, 299).

ა-ჩამქა-ს ეტიმოლოგია ნათელი არ არის. შეიძლებოდა გვემსჯელა ტერმინის კომპოზიტურ წარმომავლობაზე და ლექსემაში **ჩე**-ელემენტი გამოგვეყო, მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს ფაფასთან ან მის მსგავს კერძთან, მაგრამ საძიებელია **-ქვა**-ს რაობა, რომლის ეტიმოლოგიისათვის მეგრულში ჯერჯერობით არანაირი ხელჩასაჭიდი მასალა არ მოგვეპოვება.

ტერმინთა ნაწილის წარმომავლობა ნ. ჯანაშიასთვის გაურკვეველია, თუმცა მეგრულ ლექსიკაზე დაყრდნობით მათი ახსნა ადვილია.

მკვლევარი ძალზე საინტერესოდ აღწერს **ბარბანჯია**-ს რიტუალს (გვ. 50): 12 აგვისტოს საღამოს ყველა სახლის წინ ინთებოდა კოცონი. ახალგაზრდები მას ახტებოდნენ და ცეცხლის ალზე

„სწვავდნენ“ შეჩენილ ემბაკებს. ეს რიტუალი ზედმიწევნით იმეორებს ქართულ ჭიაკოკონას (მეგრ. **ჭეჭეთობა**). ეთნოგრაფი მოუთითებს, რომ მისთვის გაუგებარია ტერმინი **ბარბანჯია**.

ბარბანჯი || **ბორბონჯი** მეგრული სიტყვაა და „ცეცხლის ბურბურს, ბრიალს“ ნიშნავს (ჭარაია, 1997, 43), **ბარბანჯია** კი „გიზგიზა ცეცხლია“ (ქაჯაია, 2001, 270).

ასევე გაურკვეველის მკვლევრისთვის ერთ-ერთი სააღდგომოდღესასწაულის **წაჩხურ**-ის წარმომავლობა. წაჩხური სალოცავია მარტვილის რაიონში. „აქ ყოფილა დაცული წაჩხურის მთავარანგელოზის ხატი, რომელსაც უწოდებდნენ **მოსკე-წაჩხურს**, ე. ი. ვაჟების მომცემს. აქ სალოცავად მოდიოდნენ სამეგრელოს ყველა მხრიდან, აგრეთვე სამურზაყანო-აფხაზეთიდან და „სათათრეთიდან“ – ლაზისტანიდან. წაჩხურის დიდი ხატობა იმართებოდა ნააღდგომევის პირველ ხუთშაბათს“ (მაკალათია, 2006, 434).

ჩანს, მეგრული სარიტუალო ლექსიკაც. ერთგვარად დავალებულია აფხაზურისაგან. სამეგრელოში ფართოდ იყო გავრცელებული **ძიძავა** (მაკალათია, 2006, 399) || **ძიძავა** (ქაჯაია, 2002-ა, 390) – გვალვის დროს გამართული რიტუალური სვლა მდინარისკენ. „სოფლის გოგობი გააკეთებდნენ დედოფალს, ქალურად მორთავდნენ, სოფელში ჩამოატარებდნენ, შემდეგ კი წყალში გადაადებდნენ და „დაახრჩობდნენ“ (მაკალათია, 2006, 399), ვფიქრობთ, ტერმინი აფხაზური. წარმოშობისაა და უკავშირდება **ძეძლან** „წყლის დედას“ (გვ. 02) – აფხაზური ა-ძგ „წყალია“.

ტერმინთა ნაწილი, ჩვენი აზრით, ორივე. ენაში. შეთვისებულია სხვა, სავარაუდოდ, აღმოსავლურენოვანი სამყაროდან. ასეთი უნდა იყოს მეგრ. **ნაფრა** || **ნაფურნახე** „რიტუალური ცერემონიალი“ (ყიფშიძე, 1914, 490) და აფხაზური **ანაფრა** „ავადმყოფობის ავი სული“ (ჯანაშია, 1960, 60).

ნ. ჯანაშიას ნაშრომში. „Статьи по этнографии Абхазии“ სხვა საერთო ქართველურ-აფხაზური ტერმინებიცაა მოყვანილი, მათ შორის რიტუალური ნივთები: **ა-კლაკუტ** „ღომის გასაცეხვი ხის ჩაქუჩი“ (გვ. 26) < მეგრ. **კალაკუტი**, **ა-შამკათ** „რიტუალური მაგიდა“ (გვ. 27, 38) < მეგრ. **სუმკეტი** (ბუკია, 2003, 26-28), **ა-ყგზარ** „ანაფრას რიტუალური ნივთი“ (გვ. 60) < ქართ. **ყვიზარი** „პატარა ქვევრი“ (ბუკია, 2007, 164), **ა-ჩალტ** „წნული“ (გვ. 61) < მეგრ. **ჩელტი**, **ა-ჩამფგრ** „ჩონგური“ (გვ. 79) < ქართ. ჩონგური...

საინტერესო ლექსიკურ სპექტრს წარმოგვიდგენს აფხაზური ღვთაებების აღმნიშვნელი ტერმინები: **ა-ყანჭ** „აბრეშუმის ჭიის ღვთაება“ (გვ. 61) < მეგრ. **ყანჭი** „აბრეშუმის ჭია“.

ჩვენს მიერ მოტანილი ლექსიკური ერთეულები მხოლოდ მცირე ნაწილია ნ. ჯანაშიას ნაშრომში გადმოცემული საერთო ქართველურ-აფხაზური ტერმინებისა მათ განსაკუთრებული კვლევა სჭირდება,

ლიტერატურა:

აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი

ბუკია, 2001 – მ. ბუკია, ქრისტიანული ტერმინოლოგიის დამკვიდრების გზები მეგრულ საკულტო ლექსიკაში. ქართველური მემკვიდრეობა. ტ. V, ქუთაისი.

ბუკია, 2003 – მ. ბუკია, ერთი მეგრულ-აფხაზური სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, ქართველოლოგიური კრებული, II, თბილისი.

ბუკია, 2007 – მ. ბუკია, ქართველურ-აფხაზური ლექსიკური შეხვედრები, კავკასიოლოგიური კრებული, თბილისი.

გვანცელაძე, 1998 – Т. И. Гванцеладзе, О пути заимствования греческой христианской лексики в абхазском языке. N. LI. Z.2. Warszawa, 1998.

გვანცელაძე, 1998-ა – Т. И. Гванцеладзе, Тенденции дифтонгизации в заимствованных словах в абхазском языке. IX международный коллоквиум Европейского общества кавказоведов. Махачкала.

გუდავა, 1975 – ვართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ. თბ., 1975.

თოფურია, 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, ხვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

კაიშაური, 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ. 1967.

კვარჭია, 1981 – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми

კობახიძე, 1987 – ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი. თბ., 1987.

ლეონიძე, 1925 – ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

ლომთათიძე, 1976 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აზა-
ზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონო-
ლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.
მაკალათია, 1979 – მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავში-
რებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში. მასალები სამეგ-
რელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი.
მაკალათია 2006 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და
ეთნოგრაფია, თბილისი
საბა – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I,
თბილისი
სარჯველაძე, 1997 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა,
ტექსტებით და ლექსიკონით, თბილისი
ქაჯაია, 2001 – ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I,
თბილისი
ქაჯაია 2002, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II,
თბილისი
ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობა-
ვას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964
ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყ-
ვის კონა, თბილისი
ყიფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского
(иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ
ცოცანიძე 1978 – გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი
ძოწენიძე 1974 – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული დიალექტი,
თბილისი
ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი,
თბილისი
ჯანაშია 1960 – Н. С. Джанашия, Религиозные верования
абхазов. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми.

ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. I.
თბილისი, 2009, გამომცემლობა „უნივერსალი“